

ფაკულტეტის/ ინსტიტუტის / ცენტრის დასახელება

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით მიღებული პროექტები

დანართი1

№	გრანტის დასახელება	ხელმძღვანელი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	მოცულობა (თანხა)	სტატუსი დასრულებული/ მიმდინარე	გრანტის კოდი
1	ველურად მოზარდი ვაზი (Vitis vinifera L.) საქართველოში: მოძიება, აღწერა დახასიათება და კავშირების დადგენა გენოფონდის სხვა წარმომადგენლებთან	ხელმძღვანელი: დავით მაღრაძე დოქტორანტი: მაია კიკვაძე	2022	20,100.00	დასრულებული	PHDF-21-2832
2	“სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვის ოპტიმალური რეჟიმების დადგენა ნიადაგ-გრუნტების მახასიათებლების გათვალისწინებით”	მ. ლომიშვილი	2015-2018	20.000	დასრულებული	№DO/82/10-170/14
3	გარემოს გლობალური დაბინძურებისაგან დაცვისა და მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გაზრდის მიზნით ინოვაციური ბიოაგროტექნოლოგიის შემუშავება და მართვა	ნანა ბაქრაძე შემსრულებლები: ლია ამირანაშვილი, ნათია სუხიშვილი, თამუნა მოდებაძე	2020-2021	250.000 ლარი	დასრულებული	CARYS 19-573

აბსტრაქტები :

1. პროექტი-კონკრეტული შედეგი

საქართველოს ტერიტორიაზე მოძიებული და სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის ჯილდურას საკოლექციო ნარგაობაში დაცული ვაზის 8 ველურად მოზარდი ფორმის(რომელთაც აქვთ უფრო მეტად კულტივირებული ვაზისთვის დამახასიათებელი ნიშნები) აღწერა-დახასიათება ამპელოგრაფიული, ენოკარპოლოგიური, ფენოლოგიის, ფიტოპათოლოგიის და მევენახეობის თანამედროვე მეთოდებით, რომელიც დაფუძნებულია საერთაშორისო OIV და Bioersity International მეთოდიკებზე; მათი შედარება ვაზის კულტივირებულ ფორმებთან; სელექციური პროგრამებისათვის უკეთესი ფორმების შერჩევა. მეცნიერული სიახლე: პირველად იქნა შესწავლილი საქართველოში 2002-2013 წლებში აღმოჩენილი ევროპული ვაზის (*V. vinifera* L.) ველურად მოზარდი ფორმები კულტივირებულ ჯიშებთან მსგავსი ნიშნებით; 1) შესრულდა მათი ამპელოგრაფიული აღწერა OIV-ის დესკრიპტორების მიხედვით და შედარდა კულტივირებულ ჯიშებსა და ინვაზიურს სახეობებს; 2) შესწავლილი იქნა განვითარების ფენოლოგიური ფაზები 2020-2022 წლებში; 3)განხორციელდა ფორმების შეფასება ჭრაქის მიმართ გამძლეობის 4) შესწავლილი იქნა ფორმათა ენო-კარპოლოგიური მაჩვენებლები, რითაც განისაზღვრა მათი სამეურნეო მნიშვნელობა; 5) დამზადდა ველურად მოზარდი ფორმების ექსპერიმენტული ღვინოები, მათი ბიოქიმიური მაჩვენებლების და ორგანოლექტიკური მახასიათებლების მიხედვით შეფასდა ღვინოების პოტენციალი; დეგუსტატორთა აზრით დელისი 01-ს გააჩნია პოტენციალი ცქრიალა ღვინის კატეგორიაში,ნაღომარი 01-ს კი წითელი მშრალი ღვინის კატეგორიაში. 6) განზოგადებული იქნა ველურად მოზარდი ვაზის გავრცელების ეკოგეოგრაფიული ასპექტები, ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების, ზღვის დონიდან ვერტიკალური გავრცელების, რელიეფის ექსპოზიციების ჩართულობით; 7) განისაზღვრა საკვლევ ფორმათა პოტენციური პროდუქტიულობა და რავაზის ინდექსი; 8)სელექციურ პროგრამაში პირველად იქნა გამოყენებული ველურად მოზარდი ფორმები

-რეკმენდაციები - პრაქტიკული ღირებულება

1. ველურად მოზარდი ვაზის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურა გამდიდრდა, ახალი მონაცემებით - გამოქვეყნებული იქნა 7 სტატია .
2. ამპელოგრაფიული და ამპელომეტრიული მეთოდით დახასიათებული იქნა ველურად მოზარდი ვაზის 8 ნიმუში.
3. შეკრებილი იქნა ველურად მოზარდი ვაზის ფოტოგრაფიული მონაცემთა ბაზა.
4. გაკეთდა ველურად მოზარდი ვაზის ფორმების ამპელოგრაფიული ბარათები.
5. დამზადდა ველურად მოზარდი ვაზის ფორმათა ჰერბარიუმები.

6. შერჩეული იქნა ჭრაქის მიმართ მაღალი რეზისტენტობის მქონე ფორმები.
7. სელექციურ პროგრამაში ჰიბრიდიზაციისას ერთ-ერთ მშობლად გამოყენებული იქნა ველურად მოზარდი ვაზები.
8. შემუშავდა ველურად მოზარდი ფორმების გამრავლების ოპტიმალური მეთოდი.
9. შეფასებული იქნა ველურად მოზარდი ვაზის ფორმების ღვინოების პოტენციალი.
10. ველურად მოზარდი ფორმების ნერგები დაირგო ღვინის კომპანია „შუმი“-ს კოლექციაში.
11. ველურად მოზარდი ვაზების ფორმების შესახებ ინფორმაცია განთავსდა საერთაშორისო კატალოგში.

2. პროექტი- კონკრეტული შედეგი

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვის ოპტიმალური რეჟიმების დადგენა ნიადაგ-მიწის მახასიათებლების გათვალისწინებით. სამუშაოს მთავარი მიზანია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვის ოპტიმალური რეჟიმების განსაზღვრა ნიადაგის მახასიათებლების გათვალისწინებით. დისერტაციის ფარგლებში შემუშავებული იქნა ოპტიმალური სარწყავი რეჟიმის რეკომენდაციები, საქართველოს ბუნებრივი და კლიმატური პირობების, ნიადაგის თვისებებისა და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წყლის მოთხოვნილების გათვალისწინებით. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს აგრო სექტორის განვითარებას. და, კერძოდ, სარწყავი სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებას.

3. პროექტი.

აბსტრაქტი

მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გაზრდისა და გლობალური დაბინძურებისგან

გარემოს დაცვის მიზნით შემუშავდა ხორბლის თესლის დამუშავების ინოვაციური ბიოაგროტექნოლოგია; დადგენილია ხორბლის თესლის თესვისწინა ორსაფეხურიანი დამუშავების (ლაზერული დასხივებითა და *Azospirillum Brasiliense*-ს სუსპენზიით) დადებითი

ეფექტი ხორბლის აღმოცენებაზე და ზრდა-განვითარებაზე სათბურისა და მინდვრის პირობებში.

ხორბლის მარცვლის თესვისწინა დამუშავება ლაზერით, ასევე ლაზერით აზოტფიქსატორ

ბაქტერია *Azospirillum brasilense*-სთან ერთად ზრდის მოსავლიანობას 18-35%-ით და ამცირებს მოსავლის სოკოვანი დაავადების რისკსაც. ეს, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფის გაუმჯობესებას ჯანსაღი ცხოვრებისათვის და შიმშილის წინააღმდეგ საბრძოლველად.